საია საკონსტიტუციო სასამართლოში ბრალის დამძიმების მიზნით პროკურორის მიერ სააპელაციო საჩივრის წარდგენის უფლებამოსილებას ასაჩივრებს

საიამ კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. საია საკონსტიტუციო სასამართლოში წარმოადგენს მოქალაქე დ. ც.-ს, რომელსაც ბრალი წაუყენეს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. სისხლის სამართლის კოდექსის

117-ე მუხლი სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან ხუთ წლამდე. თბილისის საქალაქო სასამართლომ შეცვალა დანაშაულის კვალიფიკაცია და დ. ც. დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 122-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით). 122-ე მუხლი სასჯელის მაქსიმალურ ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე ვადით. სასამართლომ დ.ც.-ს დაუნიშნა თავისუფლების აღკვეთა 10 თვის ვადით. პროკურორმა აღნიშნული განაჩენი გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. პროკურორი სააპელაციო სასამართლოსაგან ითხოვს დ.ც.-ს დამნაშავედ ცნობას უფრო მძიმე, 117-ე მუხლით. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებამდე საიას დაცვის ქვეშ მყოფმა პირმა მოიხადა მისთვის დანიშნული 10 თვიანი პატიმრობის ვადა და გათავისუფლდა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან.

იმ შემთხვევაში, თუ თბილისის სააპელაციო სასამართლო დააკმაყოფილებს პროკურორის სააპელაციო საჩივარს, დ. ც.-ს მოუწევს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დაბრუნება იმ დანაშაულისათვის, რისთვისაც მან ერთხელ უკვე მოიხადა სასჯელი. სააპელაციო სასამართლოს მიერ ასეთი პირისათვის სასჯელის დაკისრება წარმოადგენს ხელახალ მსჯავრდებას. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის. გარდა ამისა, ასევე ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპიც. ადამიანი, რომელიც დამნაშავედ სცნო პირველი ინსტანციის სასამართლომ, სააპელაციო სასამართლოს წინაშე წარსდგება არა ბრალდებულის, არამედ მსჯავრდებულის (დამნაშავის) სტატუსით. ეს ხდება იმის გამო, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოცხადების მომენტიდან და სააპელაციო წესით ასეთი განაჩენის გასაჩივრება, არ აჩერებს მის მოქმედებას.

საია მიიჩნევს, რომ მუხლის დამძიმების მიზნით პროკურორის მიერ სააპელაციო საჩივრის წარდგენის უფლებამოსილება და სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობა, ასეთი საჩივრის საფუძველზე, პირს დაუმძიმოს ბრალი, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.